...ირა, ივლისის 20 1919 წ. ფასი 1 მ. 50 კ. № 132

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მესამე.

**რედაქცია**

**სამაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

**რედაქცია ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**კანტორა**

**გაზეთის ფასი;** ერთი თვით 30 მან. 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 45 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

...ქართველთა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

## ...ლის მომწერთა საყურადღებოთ

...ადებთ როგორც ქუთაისის, ისე პროვინციის ხელის მომწერთა საყურადღე... რომ ჩვენი გაზეთი 10 ივლისის შემდეგ აღარ მიუვათ იმ პირთ, რომელ... გაზეთის დასაკვეთი ფული გადახდილი არა აქვთ. პროვინციის ხელის მომ...ებს შეუძლიათ ფული გამოგზავნონ გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის სა... ვისაც 10 ივლისს გაზეთის ფასი სრულიად გადახდილი არ ექნება, მას ...ზეთის გზავნა შეუწყდება და ფულის ასაღებათ ზომები იქნება მიღებული.

## დღეს, 20 აგვისტოს ქალაქის ბაღში,

...ხო უნივერსიტეტის პროფესიონალური კავშირთა ცენტრალური საბჭოს და მუშა ქალთა ორგანიზაციის სასარგებლოთ გაიმართება

## დიდი სახალხო სეირნობა

...ლი გასართობებით. იქნება ვახშამა, ჩაი და სხვა. დაუკრავს სამხედრო მუსიკა და ზურნა.

1—1

## ...თაისის ღარიბ ბავშთა ქუთაისის საზოგადოების გამგეობა

...ს თავის წევრებს 22 ივლისს საღამოს 7 საათზე წმინდა ნინოს ქალთა სას...ბელში. წევრებს ვაცნობებთ, რომ კრება შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს, რადგანაც ეს კრება მეორეთ ინიშნება.

2-უ-ს.

## ...ტივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ.

...ში, ჩემს სავაჭროში, იყიდება გოგირდი ვენახებისათვის. მსურველს შეუ... მიიღოს ხელ მისაწდომ ფასებში. იქვე იყიდება ბორჯომის წყალი: ყუთობით 260 მანეთად, ბოთლობით თითო ხუთ მანეთად.

...4.

**დავით ქებაძე.**

...ულის ქვანახშირის მაღაროების გამგეობა აცხადებს რომ მას აქვს

## ...ირის საწვავი ქარხნები.

...ესო ხარისხის ქვაკირი ვაგონში ჩაჭვირთული ტყიბულში იყიდება ფუთი 10 ...დ, ფხვნილი კი — 5 მანეთად. მსურველს შეუძლია მიმართოს ტყიბულში მა...ოების კანტორას, თბილისში — გრიბოედოვის ქუჩაზე № 6 ინჟენერს. ა. ცი...ლს, ქუთაისში — ივანოვის ქუჩაზე № 38 გიორგი რევაზის ძე რონიშვილს.

**ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების გამგეობა.**

## კურსების გოგირდის აბანო.

...მ. უგრეხელიძეების (ყოფილი არჯევანიძეების) კურსების გოგირდის ...ყლის აბანოს სეზონი გაიხსნა 5 ივლისიდან. აბანო არსებობს სოფ. ...ურსებში არჯევანიძის პლატფორმასთან (ტყიბულის რკინის გზის ლიან...ავი) აბანოსთან მოწყობილია ოთახები და ბუფეტი. წყალი ვანებისათვის ყოველთვის როგორც ცხელი ისე ცივი მზად არის. მატარებლის გაჩერება განახლდა დღეში ორჯერ.

**მოიჯარადრეები ძმ. უგრეხელიძეები.**

## ...ექიმი ბოკერიას

...ურგიული და ქალთა სნეულების ...ყოფილში სამშობიარო განყოფი... ივლისის 6 რიცხვიდან (ახ. სტ.) ...ა განახლდა და ავათმყოფების მიღებაც სწარმოებს.

## ექიმი მ. ე. ნემსაძე

ღებულობს შინაგან და ვენერიულ სნეულებიან ავადმყოფთ. (609 და 914 შეხაპუნება) ყოველ დღე დილის 9—12 და საღ. 5—7-მდე. თბილისის ქუჩა, მხეიძის და ნარეშელაშვილის აფთიაქის თავზე.

დამწუხრებულნი მშობლები კონსტანტინე იესეს ძე და ალექსანდრა მიხეილის ასული იოსელიანისა შვილებით: ვლადიმერ, პოდპოლკოვნიკი მიხეილი, კაპიტანი შალვა, პორუჩიკი დავით, ანნა ლოლობერიძისა, მარიამ და დესპინე აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს რომ კვირას 20 ივლისს, ნაშუადღევს 1 საათზე პირველი ქართული პოლკის ეკლესიაში გადახდილი იქნება 40 დღის პანაშვიდი

## ალათი (ლუბა) მჟღეცის

სულის მოსახსენებლად.

1—1

## რუსეთის პოლიტიკა.

რუსეთი დღეს ორ მოწინააღმდეგე და ერთი მეორესთან შეურიგებელ შეუთანხმებელ ბანაკათ არის გაყოფილი. ერთი მხრით არის ბოლშევიკები და მეორე მხრით მოხალისენი. ბოლშევიკები ცდილობენ მთელი რუსები სოციალისტურათ გაყონ, გადამიჯნონ და მოაწყონ. ამ რწმენით გატაცებულნი ყველაფერს გულმოდგინეთ ანგრევენ, როგორც ძველი ცხოვრების და წესწყობილების სახის მატარებელს და ნანგრევებზე ახლის აშენებას ფიქრობენ. ასე მსჯელობს და ფიქრობს ბოლშევიკების მეთაურ-ხელმძღვანელები ტროცკი-ლენინები, ხოლო რაც შეეხება მათ-მიმდევართა ცხრა მეათედს ისინი მომავალზე ფიქრით თავს არ იტეხენ, ისინი მისჩერებიან დიდ დარბაზებს, ძვირფასათ მორთულ სასახლეებს, მდიდართა ეხო გარემოებს, ფულით სავსე ბანკებსა და ხაზინებს, შებძანებულან სხვის ნაოფლარ-ნაშრომში და იქიდან გამოსვლას არ ნებულობენ. სადღაც მიყრუებულ ქოხში შიმშილით კვდებოდა „ტოვარიშჩ“ ვანკა და დღეს მოსკოვში ბროლითა და მარმარილოთი მოწყობილი დარბაზის მეოთხე სართულში მოექცა და ახლა იქიდან გამოვა და უწინდელ ბინაზე წავა, არა ეს არ იქნება; ვანკა იმახის ან აქ ვიქნები, ან იმას შევაკვდები, ვინც აქიდან გამიყვანსო. დამშეულმა გაბოლშევიკებულმა ხალხმა სიმდიდრის გემო გაიგო, უცებ სიმდიდრე ხელში იგდო და დღეს იმას ხელს უშვებს? არა, ეს არ მოხდება. ბოლშევიკები მედგრათ და თავგამოდებით თავის პოზიციას იცავენ და მზათ არიან სისხლი დაღვარონ და ის არავის მისცენ.

მეორე მხრით არიან მოხალისენი. მათ უნდათ უწინდელი რუსეთი აღადგინონ. მათ მეთაურ-ხელმძღვანელთ კოლჩაკ-დენიკინებს ენატრებათ. რუსეთი იმპერატორით, რუსეთი მბრძანებელი, ლენერლებით შემკული და მედიდურ მინისტრებით და პრინცებით წამოჭიმული, რუსეთი მძლავრი და სახელოვანი, რომ ევროპაც მას თავს უკრავდენ.

კოლჩაკ-დენიკინს ზურგს უმაგრებს ის უმეტესობა, რომელიც რუსეთის მომავალზე კი არ ფიქრობს და რუსეთის დამცირებისთვის არა სწუხს, თავისი ქონება უნდა დაიბრუნოს და ბოლშევიზმისგან თავი იხსნას.

მოხალისეთა და ბოლშევიკების შორის არის აშკარა წინააღმდეგობა, რომელიც საოცარი მტრობით სისხლს აქცევინებს ორივე მხარეს.

კოლჩაკ-დენიკინმა საქმის გამოსაწყობათ მეტათ შემცდარი გზა აირჩიეს.

რუსეთის აღდგენა შეუძლებელია, მაგრამ წესიერების დამყარება და ერთგვარი სახელმწიფოს შერჩენა კი შეიძლებოდა. კოლჩაკს მოსკოვიდან უნდა დეეწყო და სანამდინაც შესძლებდა იქამდი მივიდოდა. ყოველ შემთხვევაში ჯერ მოსკოვი და სმოლენსკი უნდა აღედგინა, შემდეგ კი ხარბინსა ბათუმზე და ბაქოზე ეფიქრა. მოსკოვის აღდგენა რუსეთის სახელმწიფოს საფუძვლის დადება იქნებოდა, მოსკოვი თუ უწინდულათ 54 გუბერნიას ვერ შემოიკრებდა 30 მაინც ექნებოდა და რუსეთი რუსეთათ დარჩებოდა. აი ეს იქნებოდა სადი და მისაწდომი მიზანი. ასეთი პოლიტიკა შესაძლებელიც იყო.

კოლჩაკს კი სხვა პოლიტიკა აურჩევია, უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ მას უპოლიტიკოთ დაუწყია მუშაობა. მოსკოვის აღდგენა აღმოსავლეთ ციმბირიდან დაიწყო. მინგრეულ მოსკოვს იაპონიიდან შემოსასვლელ კარებს უმაგრებს. დენიკინი სამხრეთით გამოეშურა და დანგრეულ მოსკოვს შავიზღვიდან გარღვეულ ლობეს ურაგვავს და ამ მიზნით დღე და ღამ ბაქო ბათუმის ხელში ჩაგდებას ფიქრობს. მაშ კოლჩაკ დენიკინს შიდა რუსეთი კი არ აკმაყოფილებს, ბოროტებაზე აშენებული რუსეთი უნდათ. ისეთი რუსეთი, რომლის თავიგული, ხელი ფეხი — იყო ფინეთი, პოლონეთი, კავკასია და აზია. აი შემცდარი პოლიტიკა.

აი ამის გამო დენიკინი ბათუმში იყურება, ბათუმი თავის თავათ საქართველოს უნდა ჩაბარდეს, ყოველი მოწინააღმდეგე ასე თუ ისე ჩამოშორებუ-

ლია, ისევ რუსეთი არ გვეშვება. მოსკოვში საჭირო ძალებს აქეთ ერეკებიან; აი ეს მისცემს საშვალებას ბოლშევიკებს კიდევ სასტიკი შემოტევა დაიწყონ.

კოლჩაკ დენიკინის პოლიტიკა ვერც ვეებერთელა რუსეთს აღადგენს და ვერც მოსკოვს, რადგან მოსკოვს ხარბინიდან და ბათუმ ბაქოდან ამაგრებენ. ეს არის შემცდარი პოლიტიკა ანუ უკეთ რომ ვსთქვათ უპოლიტიკობა.

**ტრიფონ ჯაფარიძე**

## ჩვენი მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა.

ქვეყნის ნივთიერი და კულტურული დაწინაურება იმაზედაც არის დამოკიდებული, თუ რანაირ ეკონომიურ პოლიტიკას აწარმოებს მთავრობა.

ყოველ ქვეყანაში ცხოვრების ეკონომიურ მხარეს უპირველესი ყურადღება აქვს მიქცეული, ვინაიდან იქ, სადაც ნივთიერი კულტურა ზაბუნია, სადაც საწარმოო ტეხნიკა და მაზე დამოკიდებული სამრეწველო და სამეურნეო შემოქმედება სუსტია, საზოგადოებრივი ცხოვრების დანარჩენი მხარეც ჩამორჩენილი იქნება აუცილებლათ.

ეს დებულება ეხლა არსად არავითარ დავას აღარ იწვევს.

ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყანა, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სოციალისტურ დოკტრინის მიმდევარ მთავრობას მიერ წარმოებულ, ყოვლად უვარგის და ყოველგან დაწუნებულ და უარყოფილ ეკონომიურ პოლიტიკის მეოხებით, ძალზე დაქვეითებული და განადგურებული შეიქნა.

არამც თუ არ შექმნილა საქართველოში რაიმე ეკონომიური ღირებულება, არ დაგროვილა დოვლათი და არ გაუმჯობესებულა საზოგადო თუ კერძო ცხოვრების პირობები, არამედ ისიც, რაც ძველათ დიდის შრომითა და გარჯავლებით იყო შექმნილი ადამიანისაგან, მოისპო და გაჩანაგდა.

ამ ჟამათ საქართველო წარმოადგენს ეკონომიურათ გავერანებულ ქვეყანას, სადაც არც ერთი ქარხანა და ფაბრიკა არ არსებობს, არც ერთი ხეირიანი სამრეწველო, სავაჭრო ან სახელოსნო დაწესებულება არ მოიპოვება.

არსებული ეკონომიური პოლიტიკისა და შრომის უზომო მოთხოვნილების შექნით და დაკანონებით სოციალისტური მთავრობის მიერ შეუძლებელია ვიქონიოთ იმედი, რომ რაიმე თვალსაჩინო წარმატება და ეკონომიური შემოქმედება დაიწყოს ჩვენს ქვეყანაში. კაპიტალისტი დღევანდელ პირობებში, არ ჩაებმის ეკონომიურ საქმიანობაში: არ შეუდგება წარმოების შექნას, არააშენებს სახლს, არ დაიწყებს ალებ-მიცემობას და ვაჭრობას, რადგან დარწმუნებულია, რომ მისი უზომო შრომითა და ოფლით შეძენილ ქონებას მთავრობა ჩამოართმევს მას; თუ სახლია, გაუკეთებს რეკვიზიციას, ან და ეს მისი საკუთრება გახდება მსხვერპლათ მუშების უზომო შადის და საზღვარ დაუდებელი მოთხოვნილებისა.

ეს სრულიად მარტივი და ადვილათ შესაგნები პსიხოლოგია საქმიანი ადამიანისა ჯერ კიდევ გაუთვალისწინებელი და შეუგნებელი რჩება ჩვენი მმართველი წრეებისათვის.

ეკონომიური ძალების სიღამბლით და შეჩერებითაა გამოწვეული ის მრავალი უხერხულობა და მწუხარება—გაჭირებანი, რომელიც თავს დასტრიალებს ჩვენს ბედშავს ქვეყანას და სასოწარკვეთილებაში აგდებს ხალხს.

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა სურს საქართველოს დღევანდელ მთავრობას?

შეიგნო მან, რომ დღეს დღეობით, ყოველ მხრივათ ჩამორჩენილ საქართველოში, სოციალისტური პოლიტიკის წარმოება საერთოდ და განსაკუთრებით ეკონომიურ დარგში, აბსურდია, ყოვლად მიუღებელი და ქვეყნის გამჩანაგებელი და დამრღვევი დოგმაა, რომელსაც გასავალი არ აქვს და არც ექნება არც ერთ დაწინაურებულ ქვეყანაში.

თუ, ჩვენი მთავრობა უცდის ჟამს, როცა დასავლეთ ევროპაში სოციალური ანტაგონიზმი უმწვერვალეს წერტილს მიაღწევს და ეს გარემოება გამოიწვევს სოციალურ რევოლუციას, რომელსაც კერძო საკუთრების და პირადი ინიციატივის მოსპობა მოყვება და ამის მოლოდინში ის ნელ ნელა ატარებს ცხოვრებაში სოციალისტურ რეფორმებს ჩვენი ქვეყანა რომ დააუძლურა და ხელში გასტეხა.

ამისთანა მდგომარეობა შეუძლებელია დიდხანს გაგრძელდეს.

ის მთავრობა, რომელსაც არ აქვს გარკვეული სოციალ-პოლიტიკური სადღეისო პოლიტიკა, მუდამ-რყევასა და ყოყმანში, ნახევრად ინდივიდუალისტ-ნაციონალურ და ნახევრად სოციალისტ ინტერნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებს შიგნით, თუ გარეთ, ვერ შესძლებს ქვეყნის მოვლას და პატრონობას.

თუ მას ქვეყნის გაძღოლა სურს, უნდა აუცილებლათ გარდაქმნას თავისი სოციალისტური ბუნება და იმისთანა სამოქმედო გეგმა შეადგინოს და პოლიტიკა აწარმოოს, რომელიც დროს და მისი ქვეყნის რეალურ ინტერესებს შეეფერება.

**ალ. თორაძე.**

## პ რ ე ს ა.

**გაზეთ „ბორბა“ და ჩვენი დამოუკიდებლობა.**

მართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია თავისი პრესისა თუ პროპაგანდისტების საშუალებით როდესაც დასჭირდებათ ბევრს გაჰკივიან საქართველოს დამოუკიდებლობაზე.

კიდევ მეტი.

პუბლიცისტები გაზ. „ერთობიდან“ და „ბორბიდან“ ხშირად სამშობლოს მოღალატეობას სწამებენ მათ იდეურად მოწინააღმდეგეთ და თვითონ ხალხს დამოუკიდებლობის კერპ თაყვანის მცემლებათ ევლინებიან.

ჩვენ ეს არასოდეს არ გვჯეროდა. მათი სიტყვები გულწრფელად არასოდეს არ მიგვიჩნევია, რადგანაც სოციალიზმი და ნაციონალიზმი ერთ ჯერ ქვეშ ვერ მოთავსდება.

სოც-დემოკრატია ყოველთვის ებრძოდა დამოუკიდებლობას და კერძოთ საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას, მაგრამ ისინი სახელმწიფოს სათავეში მოექცენ და ძალა უნებურად იცავენ იმას, რაც მათ ბუნებას ეწინააღმდეგება.

ნათქვამია: „მახათი ტომარში არ დაიმალება“ და ხანდახან სოც. დემოკრატების ზანაკშიდაც დაჟანგული მახათი თავს ამოყოფს.

გაზეთი „ბარბა“ (იხ № 159) ეხება ფრონტის დღეს და წერილს ასე დაასკვნის:—

„იქ იბრძვნიან ჩვენი საუკეთესო ამხანაგები და გმირულად იცავენ ჩვენს დამოუკიდებლობას, მაგრამ არა მარტო იმას.

„ჩვენი დამოუკიდებლობა არასოდეს არ ყოფილა ჩვენთვის, სოც.-დემოკრატებისათვის მიზანი, არამედ იგი არის საშუალება რომ მივაღწიოთ ჩვენს საბოლაო მიზანს,—სოციალიზმს.

როგორც ამ პატარა ამონაწერიდანაც სჩანს სოც.-დემოკრატები ვერ არიან საქართველოს დამოუკიდებლობის ღირსეული დამცველნი. ამაში ჩვენ არასოდეს ეჭვი არ შეგვპარვია, მაგრამ ხვალ „ერთობა“ გამოვა სულ სხვა რასმე დასწერს.

სულ ერთია რაც არ უნდა ვსთქვან და სწერონ სოც.-დემოკრატებმა, მაგრამ ერთი კი ცხადია: მათთვის ყველაფერი საშუალებაა და საქართველოც საშუალებაა მათი პარტიის აღორძინებისათვის.

ასეთ პოლიტიკურ პარტიას აბარია დღეს საქართველოს ბედი და ისიც იმ დროს როდესაც ჩვენს ქვეყანას სჭირდება ნამდვილი სახელმწიფოებრივი კაცები და არა ისეთები როგორც „ბარბას“ პუბლისტებია.

## ჯარის რეორგანიზაცია.

დამფუძნებელ კრების დახურულ კარებში ჯარის რეორგანიზაციის საკითხი ირჩევა.

რეორგანიზაცია უკეთესისკენ ყველა მოქალაქის სურვილია.

საქართველოს ჯარის რეორგანიზაცია საბედისწერო წუთებში იწყება.

საქართველოს გარშემო მტერნი „მანევრებს“ ახდენენ, მოვლენები წამობით იცვლებიან სადაც მეზობელ-მოყვრებს ვსჭვრეტდით იქ შავი მტრები ისახებიან.

ამგვარ მომენტში სხვა ერები მილიტარულ ძალას იძლიერებენ და უმთავრეს ყურადღებას ჯარის საქმეს აპყრობენ.

ჩვენებური ჯარის რეორგანიზაცია კი როგორც ეს ჯერჯერობით გავრცელებულ ხმებიდან ვიცით ჯარის შემცირებას გულისხმობს.

მთელი საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მოსთქვამს, რომ ჯარი არა გვყავს, დღეს გამოდის რომ ჯარი გვყოლია, რომელიც დიდიც ყოფილა ჩვენთვის და მას შემცირება დასჭირვებია.

ჩვენ ვამბობთ ნურც გამართლებულიყოს ეს ხმები, საქართველოს ამ ჟამად მხოლოდ ჯარით უდგია სული.

საქართველოს რეგულიარულმა ჯარმა ანარქიისა და გახრწნის პროცესში რომ დაიწყო შექმნა უკვე დაუმტკიცა რესპუბლიკას ერთგულება. ბრძოლის ველზე განსაცდელი, სიმშილი, წყურვილი, ქართლის შვილებისთვის სამხიარულო გასართობია!

ახლაც ეს ჯარი სრულიად მოუვლელი დამშეულია, მაგრამ მას სიმამაცეს მაინც ვერავინართმევს.

ოფიცრობა ნივთიერად დაგლახაკდა, რადგან ხუთასი მანეთით ცხოვრება ჩვენს დროში არავის ძალუძს. გასაჭირმა ბევრი ჩვენთვის გამოსადეგი ოფიცერი წინააღმდეგ მისი მრწამსისა უხეირო გზაზე დააყენა, ზოგი დენიკინთან გადატყორცნა ზოგი ავანტიურის გზაზე ატარა მაგრამ უმრავლესობას წარბი ვერ შეარხევია დაგაფოლად გაკაჟებული ისევ სამშობლოს რაინდებათ დაარჩინა.

ოფიცრების ზნეობრივი დამცირებაც მოდაში იყო, მაგრამ ქვეყნის გმირებზე ვერც ამან გასჭრა და არ მოსტყუვდა გმირი ჯულელი, როცა ჩვენი ოფიცრების კეთილშობილება აღნიშნა.

დღეს თუ გვყავს მცირე ჯარი ეს ისევ ამ ოფიცრების წყალობით, ყველამ უწყის, რომ მთავრობა სამხედრო ვალდებულებსაც ვერ აგროვებს და ვერ აწვდის პოლკებს, რის გამოც სხვა და სხვა ნაწილების სარდლები და ოფიცრები თვითონ აგროვებენ ჯარის კაცებს [illegible] ცარიელებულ ნაწილებს.

ჩვენ [illegible]
დეგნი ჯარის რეორგანიზაციისა
ეს რეორგანიზაცია ჯარის საქმეს
ჯობესებს, მაგრამ ჯარის შემცირ
ხანად საქართველოსთვის ყელის გამ
მიგვაჩინა. ჯარის რეორგანიზაცია
ნულ სისტემით დამრტყმევ ბატალ
ბათ მიზანშეწონილია...

საქართველო ისევ ბეწვის ხიდზე
ზაურობს და ამ დროს მის საჭეთ
ბელთ ძალების მოკრება-გადიდება
ბათ.

საქართველო აღელვებულ ზღ
რომლის გემისთვის ჯერ სამშვიდო
პირი არ გამოჩენილა და ამიტომ
დღევანდელი დევიზია: „ამრავლეთ
რტყმევი ბათალიონები“. მოუარეთ
ოფიცრებს და ჯარში შეჰქენით
ორგანიზაცია.

**ი. დი[illegible]**

## ლაზისტანში.

**მღელვარება ლაზისტანში.**

ამას წინად გაზეთებში იწერებოდ
თომც: მთელი ტრაპიზონის ვილაეთ
მხეთის ხელში უნდა გადასულიყო
რიგად შექმნილიყო დიდი სომხეთი.

როგორც ტრაპიზონიდან ჩამო
პირები გადმოგვცემენ ამ ცნობას
მღელვარება გამოუწვევია ლაზის
ში.

აღშფოთებული ლაზები სომხებს
ლვილით უქცერენ, საქართველო
იცქირებიან და აცხადებენ: რომ
ერთიანად თავს მოიკლავენ თუ ლაზ
ნი სომხებს გადაეცა.

**მეზობლური განწყობილება.**

როგორც სარწმუნოთ გვატყობი
ლაზებს დიდი სურვილი აქვთ საქა
ლოსთან მეზობლური განწყობილებ
ნაახლონ, ქართველ ვაჭრებს და სა
ველოსაკენ მომავალ პირთ გზაზე ღ
აჩერებენ და მოუთმენლად ეკითხ
საქართველოს დღევანდელ მდგომა
ბაზე და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ქართველი მგზავრები, განსაკუთ
ვაჭრები მათ მათ შეკითხვას სიამოვნ
ღებულობენ და ყოველის მხრით პ
აძლევენ.

## უკანასკნელი ცნობებ

**ბ ა ქ ო.**

**დაღესტანში.**

ბაქოში მიღებულ სარწმუნო ცნ
დაღესტანში შეიხ ულ-ისლამი შე
ჯარის შედგენას. უკვე შეუდგენია 5
კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომე
დაყოფილია ბათალიონებათ, რო
და სამხედრო მასალაც საკმაოდ მო
ბათ. ზარბაზნები რაზმს თუმცა ც
აქვს, მაგრამ მთიან ადგილებში, ს
რაზმი უმთავრესად პარტიზანულად
ქმედებს, არც იმდენი მნიშვნელობა
ნება ამ ნაკლს. შეიხ-ულ-ისლამს ი
აქვს, რომ თავის რაზმის რიცხვს
ხანში 20 ათასამდე აიყვანს. მოხალი
დაღესტანში მხოლოდ 2 ათასამდე
ჰყავთ.

**ასტრახანთან.**

ასტრახანის ევაკუაცია უკვე დაამ
რეს ბოლშევიკებმა. სურსათი, მძიმე
ტილერია და სხვ. გემებზე და ტივ
დატვირთეს. ბოლშევიკების ჯარი ზ
ნაპირად მიდის ჩეჩნეთისა და დაღესტ
საკენ, სადაც მთებში დაიმალებიან
დაიწყებენ მოქმედებას მოხალისეთა
აღმდეგ. საბჭოთა ჯარები უკვე მოშ
დენ ასტრახანს 170 ვერსტით. მოხა
სეებმა ზომები მიიღეს მათ შესაჩერებლ

## ...ანული პრესის ცნობები.

საქ. დემ. სააგენტო.

...რომის რაიონის რკ. გზის მოსამსახურეებმა უარი განაცხადეს ივლისის 21 თვის განზრახულ გაფიცვაში ...ილეობის მიღებაზე.

...მოსავლეთ პრუსიასა და პომერა...მეურნე მუშათა გაფიცვაა. ...ამოს. ...ში გაფიცვა შესწყდა, რადგან ...მალე ჩაცოვიდა, მუშების უმრავ...ბა უკიდურეს მემარცხენეთა ტე...თ იყო შეშინებული და მუშათ...ანახლება კი სურდა. პომერანიაში ...ვის მიზეზი იგივე იყო. მთავრობამ ...ადა, რომ თუ გაფიცვა არ შესწყდა ...ფლუფას არ გაუდიდებენ.

...ტინში სოც.-დემ. საალყო წე...მოხსნა მოითხოვეს. კომენდანტმა ...ოვნა უარყო. შტეტინის მუშათა ...ნიზაციამ გადასწყვიტა საერთო გა...ბი ოთხშაბათს დასრულდეს. ბურ...ა კონტრ-გაფიცვებით ემუქრება.

...რდინში ხევმა განაცხადა, რომ ...ლი ახალგაზრდა ინგლისელი უნდა ...ომდეს იარაღის ტარებას, რათა ...სი ომისთვის გამზადებული შეხვ...მ დიდ გასაჭირს, რომელიც უე...თ მოსალოდნელია.

...შაბათს ებერტმა და ...ნოსკემ ინა... ჰამბურგი იმ მიზნით, რომ ეთა...დ ქალაქის ნავთსადგურის და სა...მასალის შემომზიდველ გემების ...ალაქო დაცვის წესდების შედგენა...თ მადლობა გადაუხადეს იქაურ სამაგალითო წესიერების დაცვი...ს.

## ...ამბოლში მიმავალნი.

...ლისელთა მისსიასთან უამრავმა ...ა მოიყარა თავი, რომელნიც სტა...ში შესვლის ნებართვას ითხოვენ. ...ლე არსებული ასეთი ნებართვის ...ბად სიძნელე დღეს თითქოს არ ...ობს, მაგრამ ერთი ნებართვის ...ა სულ უკანასკნელი ორ კვირას ...თითო მსურველი. დღემდე 10 და 15 ...მანეთს ხარჯავდნენ ამ ნებართვის ...ებად. დღეს კი, ვითომ ეს აღარ ... მაგრამ მეტად საინტერესო სუ...წარმოადგენს ინგლისელთა მი...დარბაზი და მისი გარემო. მარტო ...ისტრაციო ნომრის მისაღებად ...მაზარი რიგია გაყოლებული მთხოვ...ბისა. ხალხი დილის 4 საათიდან ...რიგს. მეტ ნაწილს კი საღამო ...მიაქვს იქ ბალიში და საბანი და ... დაკარგვის შიშით იქვე ათევს ... ხშირად სკანდალამდე მიდის

## ...ხალი ამბავი

— —

**...ალხო ზეიმობა.** დღეს, ქალაქის ...სახალხო უნივერსიტეტის, პროფე...ლურ კავშირების, ცენტრალურ ...ს და მუშა ქალთა სასარგებლოთ ...თება დიდი ზეიმობა.

**...არიბ ბავშთა მზრუნველი** სა...ო კრება დანიშნულია სამშაბათს ...ვლისს, საღამოს 7 საათზე წმ. ... ქალთა სასწავლებლის დარბაზში

**...მასწავლებელთა კრება.** დღეს 20 ...ს ქუთაისში შესდგება ქუთაისის ... და ქ. ქუთაისის სახალხო მასწა...ლთა საზოგადო კრება, კრების მი... გამოირკვიოს მასწავლებელთა ეკონო...მატერიალური მდგომარეობა.

**საღამოს კურსები.** ქუთაისის მა...ბელთა კოლეგიის საზოგადო გა...ების საღამოს კურსებზე გამოც-...დები უკვე დასრულდა. მეცადინობა განახლდება 5 აგვისტოდან. მსმენელთა მიღება სწარმოებს ყოველ დღე 10—1 საათამდის.

✦ **სამხატვრო საზოგადოების კრება.** კვირას, 20 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ყაუხჩიშვილის გიმნაზიაში გაიმართება სამხატვრო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. გასარჩევია ფრიად საყურადღებო საკითხები. წევრთა დასწრება აუცილებელია.

საბჭო.

✦ **დეზერტირების და სამხედრო მავალდებულთა შეკრება.** უკანასკნელ დროს ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაცია ენერგიულად მოქმედებს დეზერტირების და სამხედრო ვალდებულთა მოსაგროვებლად. ამ დღეებში ქუთაისის სამაზრო საბეგრო მმართველობის ჯარის კაცთა მიმღებ კომისიაში ხუთასამდე კაცმა გაიარა.

✦ **მოსავალი გორის მაზრაში** როგორც ქართლიდან ჩამოსული პირი გადმოგვცემს წელს მოსავალი ცხინვალის რაიონში საშუალოზე უკეთესია.

✦ **ოფიცრის დაჯილდოვება.** ქართველთა ლეგიონის პოდპორუჩიკი ირაკლი დიდიძე დაჯილდოვებულ იქნა წმ. თამარის ვარსკვლავით.

✦ **სომეხთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა.** საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებმა სიტყვიერი შუამდგომლობა აღძრეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წინაშე, რათა დამფუძნებელ კრებაში შეტანილ იქმნას კანონ-პროექტი პოლიტიკურ საქმეზე დატუსაღებულ და სამართალში მიცემულ სომეხთა ამნისტიის შესახებ და თანაც ხსენებულ აქტის პროექტიც წარადგინეს.

# დეპეშები.

(საქ. დემ. სააგენტო)

18 ივლისი.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი.** ივლისის 17. კიევი. ივლის. 16 დღეს წითელმა ჯარმა ეკატერინოსლავი დაიჭირა.

**ტამბოვი.** ივლის. 16. 2 საათის ბრძოლის შემდეგ წითელმა ჯარმა სად. რამანოვკა დაიჭირა.

**ლიონი.** ივლის. 16. ხუთთა საბჭომ განიხილა რუსეთის ბლოკადის გაგრძელების საკითხი, იყო წინადადება, რომ ფინეთის ყურეში ნებადაურთველათ არც ერთი გემი არ გაატარონ, შავ ზღვაში კი ოფიციალურად გამოცხადდეს ბლოკადა. ამბობენ, რომ შეერთებული შტატები წინააღმდეგია რუსეთის ბლოკადისა, რანაირიც არ უნდა იყოს იგი, რადგან (გამოტოვებულია) ბოლშევიკებისა წინააღმდეგ იბრძვიან. ამერიკის შეხედულობის გამორკვევამდე ამ საკითხის გადაჭრა გადაიდო ფიქრობენ, რომ ვილსონი ბლოკადას მხარს არ დაუჭერს, რადგან ეს საერთაშორისო უფლებას ეწინააღმდეგება, ვინაიდან ბოლშევიკები მათი მტრები არ არიან.

**მოსკოვი.** ივლისის. 16. უკანასკნელ დროში ავიღეთ ეკატერინებურგი, ზლატოუსტი და ეკატერინოსლავი. ეხლა რიგი ჩელიაბინსკსა და ხარკოვზე მიდგა. ეკატერინ და ბურგში პურია და ეკატერინოსლავში ნახშირი.

**მოსკოვი.** ივლისის 17. სტერლიტამაკის და ზლატოუსტის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება. ხელში ჩავიგდეთ მტრის ჯავშნიანი მატარებლები, ჩვენმა ჯარმა ბორისოგლებსკი დაიჭირა. ყაზახთა მწვანე ჯარი ბორისოგლების და ბალაშოვის მთელ ფრონტზე უკან იხევს.

**ყაზანი.** ივლის. 15. უფის გუბ. მოსულები იუწყებიან, რომ მაჰმადიანები რევოლუციონურად არიან განწყობილი მცხოვრებლები საბჭოთა მთავრობას სრულის ნდობით უყურებენ.

**ლიონი.** 16. ხუთთა საბჭომ ბელაკუნის ნოტა მიიღო, რომელშიც ის ამტკიცებს, რომ რუმინეთსა და უნგრეთის შორის დროებითი ზავი არ ყოფილა და იმაში რუმინელებს ამტყუნებს. ბელაკუნი თხოულობს, რომ კონფერენციამ რუმინელებს სამხედრო მოქმედება შეაწყვეტინოს.

**ლიონი.** ივლისის 16. ხუთთა საბჭომ დაადგინა გადამწყვეტი ნაბიჯები გადასდგას უნგრეთის საბჭოთა მთავრობის გასანადგურებლად, მაგრამ ამის განხორციელება მათ ეხლა არ შეუძლიათ უნგრეთის ჯარს მოულოდნელად დაეცნენ, თუმცა გენ. ფრანშე-დ სპერიმ რუმინელთა მოქმედების გეგმა უკვე შეიმუშავა, საფრანგეთის დიდძალი იარაღი რუმინიაში გაიგზავნა.

**ნაუენი.** ივლისის 17. გერმანიის ხვადასხვა ადგილებში ერთ დროს დაიწყო მოძრაობა. პომერანიაში მეურნე-მუშების გაფიცვა სამხედრო ძალების დახმარებით ჩააქრეს.

**ლიონი.** ივლ. 16. საფრანგეთის სოციალისტური პარტიების ეროვნულმა კონგრესმა გუშინდელ სხდომაზე მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც საზავო ხელშეკრულებას და ხალხთა ლიგის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს.

**ლიონი.** ივლ. 17. ამერიკის პოლიტიკა ბოლშევიკების მიმართ გამოირკვა. საერთაშორისო კონფერენციას აუწყეს, რომ არავითარ შემთხვევაში ამერიკის ჯარი უნგრეთის და რუსეთის წინააღმდეგ არ შეიძლება იქნეს გამოყენებული, თუ ბოლშევიკები მოკავშირე და მეგობარ სახელმწიფოების ტერიტორიაზე შემოჭრას არ ეცდებიან. ეს გადაწყვეტილება შეუძლებლად არ ხდის, რომ ამერიკა მოკავშირე სახელმწიფოებს ქონებრივად ან ფინანსიურად არ დაეხმაროს, თუ მოკავშირენი იძულებული იქნებიან ბოლშევიკების წინააღმდეგ მოქმედება დაიწყონ.

## ბათომში.

**ფოსტა ევროპასთან.** მკათათვის 8-დან მოეწყო ყოველ კვირეული ფოსტის გაგზავნა საზღვარ გარეთ. ჯერ მხოლოდ უბრალო კორესპონდენციას იღებენ შემდეგ ქვეყნებში: რუმინეთში, ოსმალეთში, საბერძნეთში, ეგვიპტეში, იტალიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, შეერთებულ შტატებში, ინდოეთში და იაპონიაში. გაგზავნა 3 მ. 50 კ. ღირს.

**ახალი ბანკი.** ბათომში გაიხსნა „ბრიტანიის სავაჭრო კორპორაციის" ბანკის განყოფილება, რომელიც ყოველგვარ საბანკო ოპერაციებს აწარმოებს: მიმდინარე ანგარიშებს, შეტანა, გამოტანას, ჩეკების გაყიდვას აკრედიტივებს და სხვა.

**ნავთსადგურში.** მკათათვის 13 ს ნოვოროსიისკიდან მოვიდა ინგლისური დრედნოუტი: „ემპესერ ოფ ინდია" და იტალიური ჯავშნიანი: „დუკლიო".

მკათათვის 1-ს საღამოს 4 საათზე სამხედრო ნავთსაყუდარიდან გავიდა ინგლისის სამხედრო ტრანსპორტი „სოონდ ბეკ"-ი, რომელზედაც სამშობლოში გაემგზავრნენ ჯარიდან დათხოვნილი ჯარისკაცები.

იტალიის დრედნოუტის გვერდით გაჩერდა ახლად ჩამოსული ამერიკული ნაღმოსანი № 147, რომელმაც შესცვალა კონსტანტინოპოლს გამგზავრებული ნაღმოსანი № 149.

ნავთის ნავთსაყუდარში ... ინგლისის ნაღმოსანი № 29, ... კონსტანტინოპოლიდან ჩამოვიდა.

გემი „კონსტანცია" რომელიც ტრაპიზონში უნდა გამგზავრებულიყო, აღარ წასულა, იქ მომხდარ აფეთქებისა გამო.

ტრაპიზონის აფეთქების გამო იქ გაემგზავრა ინგლისის, ამერიკის და იტალიის ნაღმოსნები.

**ბათომი.** ტრაპიზონიდან ჩამოვიდა რუს ტრანსპორტი „დუნაი".

ნავთის ნავთსაყუდარში გაჩერდა საზღვარგარეთიდან ჩამოსული ნაღმოსანი № 294.

**თავდასხმა** მკათათვის 13 ს კინტრიშის საზ. უფროსს პოდპოლკ. კუჩიაზევს, როდესაც ის ბრუნდებოდა ყაჩაღი ლეონოვის გვამის გასინჯვის შემდეგ. ქობულეთის ახლოს თავს დაესხა ერთი ყაჩაღი რომელმაც სროლა აუტეხა მას და მის მხლებელს. მცირე სროლის შემდეგ როცა კუჩიაზევი დაიჭრა, ყაჩაღი უკვალოდ დაიკარგა.

## სომხეთი.

**საშიშროების ყრილობა.** „ჰაესტანის აშხატავორი" სწერს: ევროპის გავლენის წყალობით დაუძლურებული ოსმალეთი ისევ იდგამს სიცოცხლის ნიშანწყალს. საზავო პირობების შემუშავების ასეთი გაგრძელება სომხეთს მეტად აზარალებს. სულთანების ყაჩაღურ ბრბოთა ინსტიქტების გაღვიძება აძლიერებს ჩვენს პესიმიზმს. გაზეთი შემდეგ განაგრძობს: „9 თვეა, რაც ომი შესწყდა, მაგრამ შესაძლებელია, რომ ზავი დაირღვეს და ჩვენც მოვისპოთ პირიდან დედამიწისა. ჩვენ აღარ ძალგვიძს დავეყრდნოთ გარეშე ძალას და არც მსოფლიო რევოლიუციას, დაჟინებით ვიძახით, რომ სამშობლოს თავისუფლებისათვის ძალაა საჭირო.

თუ ზავი გსურს, შეემზადეთ ომისთვის.

პარლამენტის გადება „აშხატავორის" სიტყვით, სომხეთის პარლამენტი მარიამობისთვის 1-ში გაიხსნება.

**„დამნაშავეები" არა დამნაშავეების შესახებ.** გაზ. „აშხატანკი" სწერს: მთავრობამ უნდა მიიღოს სასწრაფო ზომები იმ უპასუხისმგებლო და პროვოკატორ სომეხ — ბოლშევიკების, ესერების და ესდეკების, წინააღმდეგ, რომელნიც ჩვენი შინაური მტრები, ავანტიურისტები და დამოუკიდებლობის ძირის მთხრელნია.

**საქონელი სომხეთისათვის**

სომეხთა დელეგაციის თავმჯდომარე პარიზის კონფერენციაზე ა. აჰარონიანმა და პოღოს ნუბარ ფაშამ პარიზში სომხეთის საჭიროებისათვის შეიძინეს 300 მილიონის მანუფაქტურა და ფეხსაცმლის ტყავი. ოპერაციის გარანტია რუსეთ აზიის ბანკმა მისცა ამ დღეებში ბათუმში მოელიან პირველ ტრანსპორტს.

**ფქვილი სომხეთისათვის.** 15 და 16 მკათათვეს ამერიკის კომპანიის მიერ სომხეთში გაიგზავნა 70 ვაგონი ფქვილი. ამდენივე გაიგზავნა მკათათვის 17-საც.

**დასახიჩრებულთა თავშესაფარი.** სომხეთის მზრუნველობის სამინისტრომ გადასწყვიტა ნავთლუღში (საქართველოში) მოაწყოს 40 საწოლიანი თავშესაფარი დასახიჩრებულთათვის. თავშესაფარი 20 მკათათვეს უნდა გაიხსნას. თავშესაფარში გახსნიან სახელოსნოს.

# უცხოეთის ამბები.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბელგიაში. ცხოვრება ბელგიაში შესამჩნევად გაიაფდა. უკანასკნელ ცნობებით პირველ საჭიროების ნივთებზე ფასი ½ და ექვსი მეოთხედი—3-ჯერ მეტი თუ არის ომის წინა დღეების ფასებზე.

ინგლისის პარლამენტი რუსეთზე. მაისის 21 თემთა პალატის სხდომაზე უნიონისტმა ლორდ კავენდიშ ბენტინგმა მთავრობის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამ ბოლო ხანებში ცნობები მოდის როგორც ერთის მხრით ბოლშევიკების სიმხეცის შესახებ, ისე კოლჩაკის, დენიკინის და ფინლიანდიის თეთრ გვარდიელთა შესახებ. ამისთვის შემკითხველის აზრით უნდა შემდგარიყო საპარლამენტო კომისია, რომელსაც დაევალებოდა ამ ხმების გამო ცნობების შეკრება და რუსეთის ნაღდვილ ამბების ნამდვილათ გაცნობაში დახმარება.

საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა გამსტვორმა უპასუხა, რომ ამ საკითხის ახლო გაცნობის შემდეგ იგი მიზანშეწონილად არა სახავს კომისიის დაარსებას.

„პოგრომი“ ელისავეტოგრადში. ,,რუსსაგენ“-ის ცნობით ელისავეტგრადში გრიგორიევის ჯარმა ყველა დაწესებულებანი დაანგრიეს და ადგილზე დატყვევებულნი დახვრიტეს. ამავე დროს ასტყდა ებრაელთა დარბევა. ბოლშევიკების ცნობით ელისავეტოგრადში გრიგორიევს 3,000 ზე მეტი კაცი დაუხოციათ.

ბრიტანეთის პოლკი ოსმალეთში. როგორც აქ მყოფი ინგლისის შტაბი იუწყება კავკასიიდან ამიოსში უნდა გაიგზავნოს ბრიტანეთის ერთი პოლკი (შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე), რადგან იქ ოსმალო ყაჩაღები გაჩენილან.

ფიუმეს კონფლიკტი. ლონდონიდან იუწყებიან რომ რამდენიმე დღის ლოდინის შემდეგ ფიუმეში მდგომარეობა გამოირკვა. ხუთთა საბჭომ მოკავშირეთა შორისო კომისიას მიანდო საქმის გამოძიება. ფრანგები ტიტტონის წინადადებას დაეთანხმენ და საქმის გამოძიება ალბად ჩქარა დაიწყება. ფრანგები იტალიელებსა სდებენ ბრალს.

ავსტრია ხალხთა ლიგის წევრად. მოკავშირეთა უმთავრესი წევრნი საჭიროდა სცნობენ ავსტრიის ხალხთა ლიგაში შესვლას, რაც უნდა მოხდეს მაშინვე ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ.

საზღვაო ალლუმი. „გამარჯვების დღესასწაულის“ გამო ინგლისის ფლოტის ალლუმი გაიმართება 17—23 მკათათვემდე, ალლუმში მონაწილეობას მიიღებს 3 ჯავშნოსანი, 2 კრეისერი, 4 მსუბუქი კრეისერი და ნაღმოსან გამანადგურებელნი. ასეთივე ალლუმი გაიმართება მდინარე ტემზაზე მარიობისთვის 4-ს.

გამოჩენილ „შევარდენთა“ სიკვდილი. როგორც რუსეთიდან ჩამოსულნი გადმოგვცემენ პეტროგრადის გამოჩენილი ტან მოვარჯიშე, პეტროგრადის „შევარდენის“ ვარჯიშ-თავი ფრ. ერბენი წელების ავადმყოფობით გარდაცვლილა.

მეორე სახელგანთქმული „შევარდენი“ კარლ სტარი, რომელიც მოსკოვის ტანსავარჯიშო საზოგადოების ვარჯიშ-თავი იყო ცარიცინის აღების დროს მოუკლავთ.

სპარსეთის შაჰი. როგორც „აზხატავორს“ ატყობინებენ, სპარსეთის შაჰი მაჰმედ ალი სპარსეთში დაბრუნებულა და ახლა ყაზვინში იმყოფება.

# სამაგალითო ყმაწვილი.

იმ ახალგაზრდათა შორის, რომელთაც სურთ მთავრობის მიერ გადადებული ფულით საზღვარგარედ წასვლა სპეციალური განათლების მისაღებად, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თავისი არაჩვეულებრივი ნიჭითა და შრომის მოყვარეობით ახალგაზრდა სტუდენტია ალექსანდრე დავითის ძე ნაზარიშვილი.

გიმნაზიაში შესვლისათანავე მან მიიქცია უფროსების ყურადღება. მოსამზადებელ კლასში რომ იყო, ის კინაღამ სხვერპლი შეიქნა ერთი შემთხვევისა. ერთხელ, როდესაც გაკვეთილების შემდეგ დაღალული ყმაწვილი შინ მიდიოდა, უცაბედათ მოხვდა შუბლში სახარაზოდან სხვისთვის გასროლილი თუთბრის მძიმე მოშტა (ტყავის სატკეპნი), რომელმაც ყმაწვილს ერთ ადგილს შუბლის ძვალი სულ ჩაუჩეჩქვა. გაუკეთეს ოპერაცია. არავის ეგონა, თუ ყმაწვილი მორჩებოდა, ყოველ შემთხვევაში თუ სრული ჭკუის დარჩებოდა. ოპერაციამ ჩინებულად ჩაიარა. ყმაწვილი მორჩა, მხოლოდ აქიმებმა დიდი ხნით აუკრძალეს მას გიმნაზიაში სიარული და მეცადინეობა მიუხედავად ამისა, ყმაწვილი სახლში მაინც მეცადინეობდა: სწავლობდა გაკვეთილებსა და მასთან კითხულობდა კერძო წიგნებს, განსაკუთრებით ბუნების მოვლენებზე. გიმნაზიაში დაბრუნების შემდეგ ის კიდევ უფრო გაიტაცა ამგვარი წიგნების კითხვამ. მეოთხე კლასიდან კი მან უკვე ფიზიკა—ქიმიის სწავლას სერიოზულად მოკიდა ხელი და თავისი გასაოცარი ნიჭით უფროსი კლასის მოწაფეები და მასწავლებლები განცვიფრებაში მოჰყავდა. მეექვსე კლასში ყოფნის დროს მან გამოიგონა ეგრეწოდებული ელემენტო-აკუმულატორი (элементо-аккумулятор). მე თვითონ ვნახე მის მიერ სანიმუშოდ გაკეთებული ელექტრონული ლამპა, რომელიც უმანქანოდ, უმავთულოდ ჰაერიდან იკრებდა ელექტრონულ ძალას და სინათლეს იძლეოდა. 1916 წელში მან, კიდევ მოწაფემ, თავისი გამოგონება წარუდგინა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს პრივილეგიის მისაღებად.

1917 წელში, მინისტრთა თავმჯდომარის კერენსკის მიერ შიფრიანი დეპეშით ნაზარიშვილი გაწვეულ იქმნა პეტროგრადს და სამინისტროს მისცა განმარტებანი თავის გამოგონების შესახებ. სამინისტროსთან არსებულმა საგანგებო კომისიამ ძლიერ მოიწონა ნაზაროვის მიერ გამოგონილი აპარატი, მაგრამ მისთვის პრივილეგიის მიცემა შეუძლებლად სცნო და შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

,,отказать изобретателю в выдачѣ ему привиллегій, ввиду военной цѣнности изобрѣтенія; однако, сохранить въ силѣ и признать патент способным заявленный раньше, Назаровымъ, к привилегированiю аппарат''.

ამავე დროს კომისიამ სასურველად სცნო, რომ სტუდენტი ნაზაროვი გაიგზავნოს სევასტოპოლში, შავი ზღვის ფრონტის ამირბარის (ადმირალის) კოლჩაკის განკარგულებაში.

გარდა ამისა, კომისიის მიერ დადგენილ იქმნა, მისცემოდა მას (ნაზარიშვილს) მთავრობის ქაღალდი, რომლითაც შეეძლებოდა დაუბრკოლებლად მიეღო სამხედრო საინტენდანტოებიდან საჭირო ქიმიური პრეპარატები.

ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს წარდგენით ნაზარიშვილს 1917 წელში, როგორც საუკეთესოდ კურს დამთავრებულს, პეტროგრადის უნივერსიტეტში დაენიშნა კავკასიის სტიპენდია და ერთდროული დახმარებაც გზის ხარჯად. მაგრამ პეტროგრადში მომხდარმა არეულობამ ყმაწვილს ხელი შეუშალა განეგრძო სწავლა. მიუხედავად ამისა, ის მაინც თავაუღებლივ მუშაობდა თავის საყვარელ საგანზე—ქიმია—ფიზიკაზე. 1918 წელში მან უკვე სერიოზულ „შრომა“ დასწერა. ესაა „უმავთულო ტელეგრაფი“ ანუ რადიო-ტელეგრაფი, რომლის პირველი ნაწილი, დასურათებული, მდგომარე წელში გამოსცა ადგილობრივმა გამომცემელმა ამხანაგობა „განათლება“-მ.

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობამ ნაზარიშვილი პირველ კანდიდატად წარუდგინა მთავრობას, რომ სახელმწიფოს ხარჯზე საზღვარგარედ იქმნას გაგზავნილ სპეციალური განათლების მისაღებად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყმაწვილმა იცის გერმანული ენა და თავისუფლად შეუძლია ამ ენაზე ლექციების მოსმენა.

იმედია, მთავრობაც განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ამ იშვიათი ნიჭის ყმაწვილს, რომლისგანაც შეიძლება სერიოზული ქართველი მეცნიერი გამოვიდეს, რაც ასე ეჭირვება ჩვენს ამ მხრით ღარიბ სამშობლოს.

ისარი.

# განაპირა ორპირის კუჩა.

ამ რაიონს ომამდისაც ეტყობოდა კულტურულათ ჩამორჩენილობა და ეხლა იმის მაგივრათ რომ ამ ნიადაგზე მუშაობა გაორკეცებულიყო სრულიად განელდა და სხვა არა სასიამოვნო ნიადაგი აღმოცენდა. თვედაპირველი მიზეზი ასეთი მდგომარეობის შექმნისა შემდეგი იყო.

ქუჩის კულტურულ განვითარებაზე ხალხთან ერთად მოწინავე ახალგაზრდობა მუშაობდა. ხალხის მანდატით და მთავრობის დახმარებით გახსნეს პირველ დაწყებითი სკოლა, გაიხსნა კოოპერატივი, სკოლასთან სამკითხველო და დრამატიული წრე.

დრო თან და თან ვადიოდა ამხანაგთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა, დაინგრა კოოპერატივი, დაიხურა სამკითხველო და სკოლაში ცუდი ატმოსფერა შეიქმნა. დარჩა მხოლოდ დრამატიული წრე, რომელშიაც ასე თუ ისე კიდევ სუფევდა ერობა.

გაიარა თვეებმა, ინტელიგენტ ამხანაგთა დახმარებით გაიხსნა და გაახლდა სამკითხველო რომლის დასახმარებლათ მოწვეულ იქნა ლ. ჩიმაკაძე ყველა გრძნობდა, რომ საერთო საქმეს, საერთო შრომა იხსნიდა, და ამ ნიადაგზე სამკითხველოს სასარგებლოდ ყველა თავის საქმეს აკეთებდა. დრამატიულ წრემაც იცოდა თავის მოვალეობა სამკითხველოსადმი, და შეძლებისადაგვარად მუშაობდა.

მაგრამ კიდევ არ მოგვარდა
ისევ უ[illegible]

# კორესპოდენცია.

ცხინვალის რაიონი. ამ ერ
წინად ცხინვალის ქუჩებში გავლა
ლებელი იყო. ქალაქის უსუფთა
ლაპრო სურათს წარმოადგენდა,
წელამდე ნაგავი ეყარა. მაგრამ ჩ
თუ არა აქ ქართულ ლეგიონის ს
პოლკოვნიკი კერესელიძე, სამ
განმავლობაში ქალაქის ქუჩები
დაამსგავსა და ქალაქში შეაკეთ
ფუჭებული ბოგირები. მის დროს
ში შესწყდა ლოთობა, მექრთამე
ყველა მაწანწალა მიიმალა. ცხ
რაიონის სოფლებში კი კერესელი
დგა სამხედრო ვალდებულების მო
მავნე პირების-შეპყრობას, გზების
დეების გაკეთებას და სოფლებისად
ქიმო დახმარებას. ქართულ ლე
ცხინვალის რაიონში ყოფნის დრო
ვრებნი ამბობდენ, რომ ძლივს ე
სიწყნარე, რომ ახლა აღარ ეშინია
ველ ღამ თავ დასხმის. ბოკლეთ,
ვსთქვათ ქართულ ლეგიონის სა
პოლკოვნიკ კერესელიძის მოღვაწე
მდვილი ხალხოსნური შემოქმედებ
რის გამოც მშრომელ ხალხისგან
ერთხელ მიიღო გულწრფელი მად

ცხინვალის რაიონში დამახასია
მოვლენაა უმთავრობობა. კომისრი
თველობა ორ ან სამ მილიციელით
ახერხებს 20-25 ბოროტ მომქმედის
გმვას. მაგრამ ხშირად თვით კომ
და მილიციელები გამოდიან საუკ
ბოროტმოქმედებად. ამას წინად ბ
თის საზ. მილიციელმა ყაჩაღი გ
გაუშვა, რომელიც მას ცხინვალში
ტანეს. ორტევის საზ. ოსი კომისარ
წელიწადია ყაჩაღებს ხელს აფარებ
მათ არასოდეს არ აძლევს მთავრობ
სასჯელად. ეს გარემოება ოსური პ
ტიკით აიხსნება, ოსები ამბობენ,
ოსი დამნაშავე რათ უნდა დასაჯო
ქართველთ მთავრობამ და რათ
მივსცეთ ჩვენ მათ ხელში ოსებით.

ცხინვალის რაიონში მაგარი მთავ
საჭირო საკმაო ძალით. ამ მხარეში ყ
ყაჩაღობს და კიდეც რომ ძლიერ
დეთ ორი სამი მილიციელი მათ
ფერს დააკლებს.

X.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგ

# მატარებლების საზაფხულო მიმოსვლა.

1919 წ. 1 ივლისიდან.

### ქუთაისში მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| **თბილისიდან.** | | | |
| პირდაპირი | № 3 | — 5 ს. და 50 წ. | დილით |
| ჩქარი | № 1 | — 7 — 80 — | — |
| საფოსტო | № 3 | — 7 ს. — 40 — | საღამ. |
| სამგზავრო | № 15 | -1 ს. — 50 — | ღამით |
| **ბათომიდან.** | | | |
| პირდაპირი | № 72 | — 1 ს. და 30 წ. | დღით |
| სამგზავრო | № 6 | — 5 — — — | დილ. |
| ჩქარი | № 2 | — 1 — — 50 წ. | ღამ. |
| **ფოთიდან.** | | | |
| პირდაპირი | № 36 | — 8 ს. და 28 წ. | დილ. |
| საფოსტო | № 4 | — 12 ს. — 55 წ. | — |
| **ტყიბულიდან.** | | | |
| სამგზავრო | № 81 | — 10 ს. და 20 წ. | დილ. |
| ფოსტო | № 3 | — 5 ს. — 30 წ. | სალ. |

### ქუთაისიდან გადი

| | | | |
|---|---|---|---|
| **თბილისისაკენ.** | | | |
| პირდაპირი | № 12 | -11 ს. და 47 წ. | ს |
| ჩქარი | № 2 | — 10 ს. და 2 წ. | ს |
| საფოსტო | № 4 | — 10 ს. — 10 წ. | დ |
| სამგზავრო | № 6 | — 3 ს. — 17 წ. | ღ |
| **ბათომისაკენ.** | | | |
| პირდაპირი | № 44 | — 4 ს. და 40 წ. | დ |
| სამგზავრო | № 5 | 3 ს. — 80 წ. | ღ |
| ჩქარი | № 1 | — 6 ს. — — წ. | დ |
| **ფოთისაკენ.** | | | |
| პირდაპირი | № 35 | — 3 ს. და 25 წ. | დ |
| საფოსტო | № 3 | — 5 ს. და 50 წ. | დ |
| **ტყიბულისაკენ.** | | | |
| საფოსტო | № 4 | — 7 საათზე | დილას. |
| სამგზავროს | № 82 | — 4 ს. 4 წ. | საღამ |

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით.

ქუთაისი, სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქუჩა, სახლი ძმ. ბერუჩაშვილებისა.